

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის და/ან საერთაშორისო სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;

- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრს აქვს სპეციალიზაციის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული ცოდნა, ამასთან ერთად გააჩნია პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს პროფესიული მოღვაწეობა. არსებული თეორიული ცოდნა საშუალებას აძლევს, კრიტიკულად გაიაზროს სამართლის თეორიები და პრინციპები, ასევე გაიგოს და გააცნობიეროს სფეროს კომპლექსური საკითხები და ურთიერთდაკავშირებული პრობლემები.

ბაკალავრს აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა, სამართლებრივი სისტემის სტრუქტურა. კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და საქართველოს კონსტიტუციის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელმწიფო და კანონისმიერი ვალდებულებები; სანივთო სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.

ბაკალავრს გააჩნია ღრმა ცოდნა ქართული სამართლისა და კანონმდებლობის შესახებ. ის ფლობს განათლებას ქართული სამართლის ყველა ძირითადი მიმართულებით, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროებში. ბაკალავრი იცნობს სამართლის სისტემას და ზოგადი ნორმების ადგილს ამ სისტემაში, ასევე ქართული სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, შესაბამისი სამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობას. ბაკალავრისათვის ასევე ცნობილია ქართული სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები. ბაკალავრი კარგად ფლობს მთლიანად სამართლის სფეროსათვის დამახასიათებელ ინტერპრეტაციისა და სამართლის მეთოდოლოგიის საკითხებს. ფლობს სახელმწიფო მოწყობისა ასევე ადამიანის უფლებების საკითხებს. ბაკალავრი კარგად იცნობს საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან სფეროებს, როგორცაა: საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციები. კერძო სამართლის მიმართულებით ბაკალავრი ეუფლება ისეთ საგნებს, როგორცაა: შესავალი კერძო სამართალში (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი) ვალდებულებითი სამართალი (მათ შორის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები), სახელმეკრულებო სამართალი, სანივთო სამართალი და საოჯახო/სამემკვიდრეო სამართალი. ბაკალავრს კარგად ესმის, ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები. ასევე, კარგად ერკვევა სისხლის სამართლის პრინციპებში და ისეთ საკითხებში, როგორცაა: დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები. ბაკალავრი ეუფლება განათლებას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებში, მისთვის ცნობილია ქართული სამართლის ისტორიული წყაროები. ამასთან ერთად, არჩეული ძირითადი სამართლის სფეროების ფარგლებში, ბაკალავრს საშუალება აქვს დაეუფლოს კონკრეტულ სამართლებრივ მიმართულებებს და განშტოებებს და შესაბამისი მიმართულებით გაიღრმავოს ცოდნა. ბაკალავრი კარგად ერკვევა არსებულ სასამართლო პრაქტიკაში და ეცნობა ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ბაკალავრი ეცნობა საქართველოს ძირითად კანონებსა და ნორმატიულ აქტებს, რომელიც ეკუთვნის სხვადასხვა სამართლებრივ სფეროს, მათ შორის სისხლის, სამოქალაქო და საჯარო სამართლის მიმართულებებს. ბაკალავრი კარგად იცნობს აღნიშნული აქტების შინაარსს და მათ სტრუქტურას, შეუძლია შესაბამისი და საჭირო ნორმების და მუხლების იდენტიფიცირება, განმარტება და გამოყენება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, ბაკალავრს გააჩნია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული თვისებების საკმარისი მარაგი გადაწყვეტოს აბსტრაქტული პრობლემები შესაბამის დარგში. ბაკალავრს შეუძლია დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზები მოიხსნოს პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად. ბაკალავრი იყენებს სფეროსათვის დამახასიათებელ მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობას თეორიული და კვლევითი საკითხების გადასაწყვეტად.

ბაკალავრს აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების და სარჩელის) შედგენა.

ბაკალავრს უნარი აქვს მიღებული განათლება გამოიყენოს პრაქტიკაში. ბაკალავრს აქვს მყარი ცოდნა იურიდიული მეთოდოლოგიის საკითხებში, რაც მას საშუალებას აძლევს მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი საკითხის იდენტიფიცირება, ამ საკითხის ირგვლივ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოყოფა და სათანადო სამართლებრივი ნორმის გამოყენებითა და სუბსუმფციის გზით სამართლებრივი დასკვნის გამოტანა. ამავდროულად ბაკალავრს აქვს

პრაქტიკული უნარები, მათ შორის საკუთარი აზრების პრეზენტაცია, ინსცენირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობა. მას შეუძლია შეადგინოს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები (მათ შორის ხელშეკრულებები და შეთანხმებები) და გასცეს პრაქტიკული იურიდიული რჩევები.

ბაკალავრს შეუძლია ადვილად მოძებნოს ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი სამართლის ნორმა და განახორციელოს ამ უკანასკნელის განმარტება და მისი გამოყენება შესაბამისი ფაქტების მიმართ.

სამართლებრივ ტექსტებთან და კანონებთან მუშაობის შედეგად ბაკალავრს უყალიბდება ტექსტების კვლევისა და ანალიზის უნარი, რაც შეუძლია წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში.

დასკვნის უნარი:

ბაკალავრს უნარი აქვს შეაგროვოს, განმარტოს, სწორად წაიკითხოს და კრიტიკულად შეაფასოს წარმოდგენილი მასალა. მას უნარი აქვს მოახდინოს აუცილებელი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მისი გამოყოფა და შემდგომი სინთეზი. ასევე ხელეწიფება, სწორად ჩამოაყალიბოს პრობლემა და მისი ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს გადაწყვეტის გზები. ბაკალავრს შეუძლია, არჩეული გადაწყვეტილება დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციის, მეთოდებისა და პრინციპების საფუძველზე.

ბაკალავრს აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის, თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. ბაკალავრი მუდმივად მუშაობს კაზუსებზე და ჰიპოტეტურ სამართლებრივ შემთხვევებზე და გამოიმუშავებს სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების და არგუმენტირების უნარს.

ბაკალავრს გააჩნია ფაქტებიდან, სამართლებრივად მნიშვნელოვანი და რელევანტური საკითხების იდენტიფიცირების, ანალიზისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, მას შეუძლია სამართლებრივი პრობლემის სხვადასხვა ჭრილში დანახვა ალტერნატიული არგუმენტების განსაზღვრით.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბაკალავრი შეძლებს იურიდიული ნაშრომებისა და დოკუმენტების გაანალიზებას, სასამართლო გადაწყვეტილებების ტექსტებიდან შესაბამისი სამართლებრივი წესის განზოგადებას და მის ჩამოყალიბებას. ასევე აღნიშნული გადაწყვეტილებების კრიტიკულ შეფასებას შესაბამისი არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების განსაზღვრის გზით. აღნიშნულის ფონზე ბაკალავრს შეუძლია არჩეული მოსაზრების დასაბუთება.

კომუნიკაციის უნარი:

ბაკალავრს შეუძლია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი არგუმენტები და მოსაზრებები, მოახდინოს მისი გადმოცემა სწორი პროფესიული ენით და იმ საშუალებებით, რაც საკმარისია არაპროფესიონალის მიერ ინფორმაციის აღქმისა და გაგებისათვის. ბაკალავრი ასევე ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. ამასთან ერთად გარკვეულ საკითხებზე ბაკალავრს შეუძლია ინფორმაციის გადმოცემა და ახსნა უცხოურ ენაზე. ბაკალავრს ჩამოყალიბებული აქვს საკმარისი წერილობითი ჩვევები, ძალუძს საკუთარი აზრების წერილობით გადმოცემა გასაგები შინაარსით.

ბაკალავრს აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი.

სამართლის პროგრამა გაჯერებულია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთობლიობით. პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოიცავს ასევე ბაკალავრის უნარს განახორციელოს საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების სწორი და მკაფიო ფორმით კომუნიკაცია. ბაკალავრს შეუძლია მშობლიურ ენაზე ჩამოაყალიბოს სამართლებრივი არგუმენტები და ამ მიზნით გამოიყენოს სათანადო იურიდიული ტერმინოლოგია და სწორი გრამატიკული ფორმები. მას გააჩნია კარგად გამომუშავებული წერის კულტურა და შეუძლია წერილობით წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია სამართლებრივი არგუმენტაციის მეთოდების გამოყენებით.

ბაკალავრს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად სამართლის ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. ამავდროულად ბაკალავრს შესაძლებლობა აქვს დაეუფლოს ინგლისურ (მათ შორის ინგლისურს იურისტებისათვის), რაც მას საშუალებას აძლევს პროფესიულ დონეზე აწარმოოს კომუნიკაცია უცხო ენებზე, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით.

სწავლის უნარი:

ბაკალავრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ასევე ძალუძს დამოუკიდებლად დაძლიოს რთული და კომპლექსური საკითხების შესწავლა და გაცნობიერება. ბაკალავრი თავად ირჩევს საკუთარ სასურველ სწავლის მიმდინარეობას, გამომდინარე არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან. შემოთავაზებული საგნების ფარგლებში ის დამოუკიდებლად ირჩევს შესაბამის საგანს საკუთარი ინტერესისა და შესაძლებლობების საუკეთესო გამოვლენის, ასევე მოსალოდნელი საჭიროებების მიხედვით.

ბაკალავრს აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნების და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად გადადგას ნაბიჯები იურიდიული პროფესიის დაუფლების პროცესში. სწავლის პერიოდში ბაკალავრი სწავლობს ქართული სამართლებრივი სისტემის ძირითად საკანონმდებლო აქტებს. ის იცნობს არა მხოლოდ აღნიშნული კანონების შინაარსს, არამედ შეუძლია თვალყური ადევნოს მასში განხორციელებულ ცვლილებებს. ანალოგიური კომპეტენციები გააჩნია ბაკალავრს, სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკის კუთხით, რომელსაც ის ეუფლება რიგი საგნების ფარგლებში. შესაბამისად, ბაკალავრი ინარჩუნებს პროფესიული ზრდის, სიახლეების მიდევნებისა და მუდამ განახლების ტემპს. მას შეუძლია თვალყური ადევნოს საკანონმდებლო სიახლეებს, დამოუკიდებლად მიაკვლიოს შესაბამის წყაროებს, გაეცნოს და გაიგოს სასამართლოს გადაწყვეტილებები. ბაკალავრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე.

ღირებულებები:

ბაკალავრი აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით იცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. ის იძენს შემეცნებას იმ პრინციპებისა და ღირებულებების თაობაზე, რომელსაც ეყრდნობა არჩეული პროფესიული მიმართულება. მას უნარი აქვს საფუძვლად დაუდოს არგუმენტირების პროცესს შესაბამისი ღირებულებები და მზადაა ისწრაფოს ამ ღირებულებების დასაცავად და დასამკვიდრებლად.

ბაკალავრი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

თავის საქმიანობაში ის ხელმძღვანელობს სამართლიანობის პრინციპით და ითვალისწინებს ასევე საზოგადოებაში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. ის გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას ბაკალავრი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვას. ღირებულებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ბაკალავრი ირჩევს შესაბამის ღირებულებას ისე, რომ არ დარღვიოს მესამე პირების უფლებები და არ გამოიწვიოს მათი არალეგიტიმური შეზღუდვა; სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად საჭიროების შემთხვევაში.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- Case study
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, სამინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მიწიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყოთ წარმატებული კარიერა იურიდიულ სფეროში. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია უფრო მაღალი დონის სპეციალისტისა თუ მკვლევარის მომზადებაზე.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №1 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ირაკლი სოკოლოვსკი

სამართლის დოქტორი
ბროსეს ქ. #1
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 583 353
e-Mail: i.sokolovskii@gipa.ge

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
სავალდებულო ზოგადი საგნები				19	8								
1.	BLAW 001	არ გააჩნია	ქართული მართლწერა	5/125								48	77
2.	BLAW 002	არ გააჩნია	ლოგიკა	5/125								48	77
3.	BLAW 003	არ გააჩნია	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	4/100								33	67
4.	BLAW 004	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	5/125								48	77
5.	BLAW 005	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში		4/100							33	67
6.	BLAW 006	არ გააჩნია	ეკონომიკის საფუძვლები		4/100							33	67
ინგლისური ენის კომპონენტი⁵				6	6	6	6						
7.	BLAW 007	არ გააჩნია	ინგლისური ენა (elementary)	6/150								93	57
8.	BLAW 008	BLAW 007	ინგლისური ენა (pre-intermediate)		6/150							93	57
9.	BLAW 009	BLAW 008	ინგლისური ენა (intermediate)			6/150						93	57
10.	BLAW 010	BLAW 009	ინგლისური ენა (upper intermediate)				6/150					93	57
სპეციალობის სავალდებულო საგნები				5	15	25	25	25	20	20	5		
11.	BLAW 011	არ გააჩნია	ქართული სამართლის ისტორია	5/125								48	77
12.	BLAW 012	არ გააჩნია	სამართლებრივი მართლწერა		5/125							48	77
13.	BLAW 013	არ გააჩნია	შესავალი სამართალმცოდნეობაში		5/125							48	77
14.	BLAW 014	არ გააჩნია	შესავალი სამოქალაქო სამართალში		5/125							48	77

¹ კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

⁴ დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (სამინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

⁵ ინგლისური დონის განსაზღვრისთვის სტუდენტებს ჩაუტარდებათ placement test, რომლის მიხედვითაც განაწილდებათ შესაბამისს ჯგუფებსა და დონეებზე.

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
15.	BLAW 015	არ გააჩნია	სამართლის ფილოსოფია			5/125						48	77
16.	BLAW 016	არ გააჩნია	კონსტიტუციური სამართალი			5/125						48	77
17.	BLAW 017	BLAW 014	სანივთო სამართალი I			5/125						48	77
18.	BLAW 018	BLAW 014	ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)			5/125						48	77
19.	BLAW 019	არ გააჩნია	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)			5/125						48	77
20.	BLAW 020	BLAW 016	ადამიანის უფლებების დაცვის სამართალი			5/125						48	77
21.	BLAW 021	BLAW 016	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი			5/125						48	77
22.	BLAW 022	BLAW 018	სახელმწიფო სამართალი			5/125						48	77
23.	BLAW 023	BLAW 017	სანივთო სამართალი II			5/125						48	77
24.	BLAW 024	BLAW 019	სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი I)			5/125						48	77
25.	BLAW 025	BLAW 016	საერთაშორისო საჯარო სამართლის შესავალი					5/125				48	77
26.	BLAW 026	BLAW 022	მემკვიდრეობის/საოჯახო სამართალი						5/125			48	77
27.	BLAW 027	BLAW 018	კანონისმიერი ვალდებულებები						5/125			48	77
28.	BLAW 028	BLAW 022	სამოქალაქო საპროცესო სამართალი					5/125				48	77
29.	BLAW 029	BLAW 024	სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი II)					5/125				48	77
30.	BLAW 030	BLAW 024	სისხლის სამართლის პროცესი					5/125				48	77
31.	BLAW 031	BLAW 022	სამეწარმეო სამართალი					5/125				48	77
32.	BLAW 032	BLAW 021 BLAW 028	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი						5/125			48	77
33.	BLAW 033	BLAW 022	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი								5/125	48	77
34.	BLAW 034	BLAW 025	საერთაშორისო სახელმწიფო სამართალი							5/125		48	77
35.	BLAW 035	BLAW 025	ევროკავშირის სამართალი						5/125			48	77
36.	BLAW 036	BLAW 022	შრომის სამართალი						5/125			48	77
37.	BLAW 037	BLAW 032	სააღსრულებლო სამართალი							5/125		48	77
38.	BLAW 038	BLAW 028	საერთაშორისო კერძო სამართალი							5/125		48	77
			სპეციალობის არჩევითი საგნები					5	10	19	15		
39.	BLAW 039	BLAW 032	სამოხელეო სამართალი								5/125	48	77
40.	BLAW 040	BLAW 021	საარჩევნო სამართალი					5/125				48	77
41.	BLAW 041	BLAW 032	საქართველოს საგადასახადო სამართლის საფუძვლები								5/125	48	77

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
42.	BLAW 042	BLAW 016	საკანონმდებლო ტექნიკა					5/125				48	77
43.	BLAW 043	BLAW 032	სამშენებლო სამართალი								5/125	48	77
44.	BLAW 044	BLAW 032	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი								4/100	33	67
45.	BLAW 045	BLAW 025	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი								5/125	48	77
46.	BLAW 046	BLAW 032	ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი								5/125	48	77
47.	BLAW 047	BLAW 029	კრიმინოლოგია								5/125	48	77
48.	BLAW 048	BLAW 030	კრიმინალისტიკა						5/125			48	77
49.	BLAW 049	BLAW 030	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში						5/125			48	77
50.	BLAW 050	BLAW 030	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა							5/125		48	77
51.	BLAW 051	BLAW 030	არასრულწლოვანთა დაცვის სამართალი						5/125			48	77
52.	BLAW 052	BLAW 059	სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები								5/125	48	77
53.	BLAW 053	BLAW 019 BLAW 024	სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი								5/125	48	77
54.	BLAW 054	BLAW 022	ხელშეკრულებების შედგენა								5/125	48	77
55.	BLAW 055	BLAW 031	გადახდის უნარობის სამართალი								5/125	48	77
56.	BLAW 056	BLAW 028	საარბიტრაჟო სამართალი								5/125	48	77
57.	BLAW 057	BLAW 028	სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი								5/125	48	77
58.	BLAW 058	BLAW 010	ინგლისური ენა იურისტთათვის I					5/125				48	77
59.	BLAW 059	BLAW 058	ინგლისური ენა იურისტთათვის II						5/125			48	77
60.	BLAW 060	BLAW 059	სამართლებრივი მართლწერა (Legal Drafting)								5/125	48	77
61.	BLAW 061	BLAW 016 BLAW 020	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება								5/125	48	77
62.	BLAW 062	BLAW 032	საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმი								5/125	48	77
63.	BLAW 063	BLAW 028 BLAW 030 BLAW 032	სასწავლო პრაქტიკა								5/125	10	115
სემესტრში				30	29	31	31	30	30	39	20		
წელიწადში				59		62		60		59			

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სავალდებულო ზოგადი საგნები								
1.	BLAW 001	ქართული მართლწერა	X	X	X	X	X	X
2.	BLAW 002	ლოგიკა	X	X	X	X	X	X
1.	BLAW 003	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	X	X	X	X	X	X
2.	BLAW 004	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	X	X	X	X	X	X
3.	BLAW 005	შესავალი სოციოლოგიაში	X	X	X	X	X	X
4.	BLAW 006	ეკონომიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	
ინგლისური ენის კომპონენტი								
1.	BLAW 007	ინგლისური I	X	X	X	X	X	X
2.	BLAW 008	ინგლისური II	X	X	X	X	X	X
3.	BLAW 009	ინგლისური III	X	X	X	X	X	X
4.	BLAW 010	ინგლისური IV	X	X	X	X	X	X
სპეციალობის სავალდებულო საგნები								
1.	BLAW 011	ქართული სამართლის ისტორია	X	X	X	X	X	X
2.	BLAW 012	სამართლებრივი მართლწერა	X	X	X	X	X	X
3.	BLAW 013	შესავალი სამართალმცოდნეობაში	X	X	X	X	X	X
4.	BLAW 014	შესავალი სამოქალაქო სამართალში	X	X	X	X	X	X
5.	BLAW 015	სამართლის ფილოსოფია	X	X	X	X	X	X
6.	BLAW 016	კონსტიტუციური სამართალი	X	X	X	X	X	X

7.	BLAW 017	სანივთო სამართალი I	X	X	X	X	X	X
8.	BLAW 018	ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X
9.	BLAW 019	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X
10.	BLAW 020	ადამიანის უფლებების დაცვის სამართალი	X	X	X	X	X	X
11.	BLAW 021	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X	X	X	X
12.	BLAW 022	სახელმწიფო სამართალი	X	X	X	X	X	X
13.	BLAW 023	სანივთო სამართალი II	X	X	X	X	X	X
14.	BLAW 024	სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი I)	X	X	X	X	X	X
15.	BLAW 025	საერთაშორისო საჯარო სამართლის შესავალი	X	X	X	X	X	X
16.	BLAW 026	მემკვიდრეობის/საოჯახო სამართალი	X	X	X	X	X	X
17.	BLAW 027	კანონისმიერი ვალდებულებები	X	X	X	X	X	X
18.	BLAW 028	სამოქალაქო საპროცესო სამართალი	X	X	X	X	X	X
19.	BLAW 029	სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი II)	X	X	X	X	X	X
20.	BLAW 030	სისხლის სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	X
21.	BLAW 031	სამეწარმეო სამართალი	X	X	X	X	X	X
22.	BLAW 032	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	X	X	X	X	X	X
23.	BLAW 033	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	X	X	X	X	X	X
24.	BLAW 034	საერთაშორისო სახელმწიფო სამართალი	X	X	X	X	X	X
25.	BLAW 035	ევროკავშირის სამართალი	X	X	X	X	X	X
26.	BLAW 036	შრომის სამართალი	X	X	X	X	X	X
27.	BLAW 037	სააღსრულებლო სამართალი	X	X	X	X	X	X
28.	BLAW 038	საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X	X	X	X	X
		სპეციალობის არჩევითი საგნები						
1.	BLAW 039	სამოხელეო სამართალი	X	X	X	X	X	X
2.	BLAW 040	საარჩევნო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.	BLAW 041	საქართველოს საგადასახადო სამართლის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
4.	BLAW 042	საკანონმდებლო ტექნიკა	X	X	X	X	X	X
5.	BLAW 043	სამშენებლო სამართალი	X	X	X	X	X	
6.	BLAW 044	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	X	X	X	X	X	X
7.	BLAW 045	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	X	X	X	X	X	X
8.	BLAW 046	ადმინისტრაციული სამართლის რეპეტორიუმი	X	X	X	X	X	X

9.	BLAW 047	კრიმინოლოგია	X	X	X	X	X	X
10	BLAW 048	კრიმინალისტიკა	X	X	X	X	X	X
11.	BLAW 049	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში	X	X	X	X	X	X
12.	BLAW 050	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
13.	BLAW 051	არასრულწლოვანთა დაცვის სამართალი	X	X	X	X	X	X
14.	BLAW 052	სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები	X	X	X	X	X	
15.	BLAW 053	სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი	X	X	X	X	X	X
16.	BLAW 054	ხელშეკრულებების შედგენა	X	X	X	X	X	X
17.	BLAW 055	გადახდისუუნარობის სამართალი	X	X	X	X	X	
18.	BLAW 056	საარბიტრაჟო სამართალი	X	X	X	X	X	X
19.	BLAW 057	სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი	X	X	X	X	X	
20.	BLAW 058	ინგლისური ენა იურისტთათვის I	X	X	X	X	X	X
21.	BLAW 059	ინგლისური ენა იურისტთათვის II	X	X	X	X	X	X
22.	BLAW 060	სამართლებრივი მართლწერა (Legal Drafting)	X	X	X	X	X	
23.	BLAW 061	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	X	X	X	X	X	X
24	BLAW 062	საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმი	X	X	X	X	X	X
25.	BLAW 063	სასწავლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

**პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)**

სახელი, გვარი	ირაკლი სოკოლოვსკი
თანამდებობა	სამართლის და პოლიტიკის სკოლის სამართლის საბაკალავრო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი: +(995) 583353 ელ-ფოსტა: i.sokolovski@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის სათაური: „ხელშეკრულებების დადება“; 2006
პუბლიკაციები	<ul style="list-style-type: none"> -Report on the Aviation Legislative Framework of Georgia prepared in cooperation with IATA and Ministry of Economic and Sustainable Development of Georgia in 2016. -Regulatory Impact Assessment Report in relation to Draft Law on Entrepreneurs prepared in cooperation with ISET and GiZ in 2017. -Current Issues of the completion policy. The presentation at the conference organized by G4G, USAID and Competition Agency of Georgia on 24 April 2016 -The Antitrust Aspects of Antidumping Legislation. The presentation at the conference organized by G4G, USAID and Legal Education Centre on 23 December 2016 -The Coordinated Actions and Parallelism in Completion Law. The presentation to be delivered at 6th Business Law Conference to be held on 16-17 December 2017

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ნათია ჭიღვარია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენა
2.	ქეთევან ჭელიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენა
3.	მაია ჭიაურელი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ლოგიკა
4.	ნატა ვაჩიშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ქართული მართლწერა
5.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში
6.	გიორგი თავბერიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი სოციოლოგიაში
7.	მერაბ კაკულია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ეკონომიკის საფუძვლები
8.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში
9.	გიორგი კობერიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში
10.	ზაზა სუხიშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ქართული სამართლის ისტორია
11.	თინათინ ერქვანია	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> სამართლის ფილოსოფია საკონსტიტუციო სამართალი საკონსტიტუციო მართლსაჯულება რეპეტიტორიუმი საჯარო სამართალში
12.	ანა ნაცვლიშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ადამიანის უფლებების დაცვის სამართალი
13.	კახაბერ ურიადმყოფელი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი
14.	უჩა ზაქაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> სამშენებლო სამართალი
15.	მარიამ ზობოხიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> არასრულწლოვანთა დაცვის სამართალი საკანონმდებლო ტექნიკა სამოხელეო სამართალი

16.	კახაბერ გოშაძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი
17.	დავით გელაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს საგადასახადო სამართლის საფუძვლები
18.	ნატო ზაჩიაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საარჩევნო სამართალი
19.	ნინო გოგელაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> სააღსრულებლო სამართალი
20.	ინგა კვაჭანტირაძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი
21.	რევაზ ჩხეიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ევროკავშირის სამართალი
22.	ქსენია გელოვანი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი
23.	ანა კოსტავა	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო საჯარო სამართლის შესავალი საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი
24.	ირაკლი სოკოლოვსკი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი სამოქალაქო სამართალში
25.	ლევან თოთლაძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი სამართალმცოდნეობაში; სანივთო სამართალი; სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი
26.	ნატა კოკოლაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ვალდებულებითი სამართალი
27.	სანდრო სამადბეგიშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> კანონისმიერი ვალდებულებები
28.	ნიკოლოზ შეყილაძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> კანონისმიერი ვალდებულებები
29.	ქეთევან გოგუა	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> სახელშეკრულებლო სამართალი ხელშეკრულებების შედგენა
30.	მიხეილ გოგეშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> სახელშეკრულებლო სამართალი ხელშეკრულებების შედგენა
31.	დimitრი გაბუნია	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი
32.	გიორგი ჯუღელი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> სამეწარმეო სამართალი
33.	ნინო ზოგვერაძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შრომის სამართალი

34.	გიორგი სულაკაძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო საპროცესო სამართალი
35.	ლევან ნანობაშვილი, ნინო ცატუროვა	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ინტელექტუალური საკუთრების სამართალი
36.	ნათია სახოკია	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • გადახდისუნარობის სამართალი
37.	მიხეილ შათაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო კერძო სამართალი
38.	ჯაბა გველებიანი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საარბიტრაჟო სამართალი
39.	კახა წიქარიშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი • სისხლის სამართლის კერძო ნაწილი • სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი • ადამიანის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში
40.	ზაზა მეიშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის პროცესი • სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა
41.	იოსებ ჭიჭიკაშვილი	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • კრიმინოლოგია
42.	დავით ქოჩლაძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • კრიმინალისტიკა
43.	ქეთევან ჭელიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • იურიდიული ინგლისური
44.	ეთერ ჩაჩანიძე	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი წერა
45.	ნინო შენგელია	მონვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები • სამართლებრივი მართლწერა (Legal Drafting)